პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

--- სექტემბერი 2025 წელი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №----------

ქალაქ ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთს (შალვა ინასარიძის დაბადებიდან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით) მიენიჭოს სკვერის სტატუსი და ეწოდოს შალვა ინასარიძის სკვერის სახელი.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში(ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ამა წლის 19 მაისს წერილით № **10/15251393-15,** რომელსაც თან ერთვოდა ბათუმში ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პირადი ხელმოწერები, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საქველმოქმედო ფონდ „ჩოხოსანი"-ს თავმჯდომარემ თენგიზ თანვდგირიძემ წინადადებით: შალვა ინასარიძის დაბადებიდან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შალვა ინასარიძის ქუჩაზე მდებარე სკვერს, დაბადებიდან 125 წლის თავთან დაკავშირებით მიენიჭოს მისი სახელი და ქ. ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებულ ტერიტორიაზე დაიდგას მისი ბიუსტი.

ბატონი შალვა ინასარიძე დაიბადა 1900 წელს ქ. თელავში, დაამთავრა ბათუმის ქართული გიმნაზია 1919 წელს. 1920 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1921 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის პორტის საბაჟოში. 1925 წლიდან სწავლობდა ბათუმში არსებულ დრამატულ სტუდიაში, რომლის დახურვის შემდგომ მსახიობად ჩაირიცხა ბათუმის თეატრში.
1931-1934წწ. სწავლობდა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე.
1923-1925წწ. მუშაობდა ბათუმის ცენტრალურ კლუბთან არსებულ დრამ-წრეში. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ბათუმის (1925-1926), ქუთაისის (1926-1927), ჭიათურის (1927-1929) თეატრებში, ხოლო 1934-1936წწ. აჭარის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში დამდგმელ რეჟისორად. 1936 წელს მან ბათუმის სახელმწიფო თეატრში დაიწყო მუშაობა და იქ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლო წლებამდე: 1940-1941წწ. სამხატვრო ხელმძღვანელად, 1941-1948წწ. რეჟისორად.

1948-1951წწ. დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, 1951 წელს დამდგმელ რეჟისორად.

მისი რეჟისორობით განხორციელებულია 100-მდე სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლი.
ბატონი შალვა ინასარიძე გახლდათ, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
გარდაიცვალა 1970 წელს 20 მარტს, ბათუმის ფერიის სასაფლაოზე.

ამა წლის 27 აგვისტოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის მე №6 სხდომაზე , კომისიის წევრების მიერ განხილულ და მხარდაჭერილი იქნა საკითხი - **ქალაქ ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში(ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე**

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში(ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის სკვერის სტატუსისა და დაბადებიდან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ბათუმის ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა,

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი "ჩოხოსანი"-ს თავმჯდომარე - თენგიზ თავდგირიძე.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ნატალია ძიძიგური**